ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2912065

ნომერი: AR1450576

თარიღი : 24.10.2016

გაცემის თარიღი : 14.11.2016

გაცნობის თარიღი : 16.11.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ ფირცხალავა პ/ნ 01008024732
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 58 ბ. 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ოქტომბრის №2863895 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 24 ოქტომბრის №AR1450576 განცხადებით მომართა ვლადიმერ ფირცხალავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 07 ოქტომბრის №2863895 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2016 წლის 07 ოქტომბრის №2863895 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, აკაკი წერეთელის გამზ. №27-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.13.07.004.003), მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2016 წლის 07 ოქტომბრის №2863895 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობის საერთო ფართობის, საზაფხულო ფართობისა და კომერციული ფართობის მაჩვენებლები არ შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს. ასევე, ტექნიკური შეცდომაა დაშვებული შეთანხმებულ +4.5 და +51.0 ნიშნულების გეგმებზე. განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური შეცდომა და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო ფართობი დაფიქსირდეს 14347.9 კვ.მ, საზაფხულო ფართობი დაფიქსირდეს 1195.88 კვ.მ, კომერციული ფართობი დაფიქსირდეს 1623.81 კვ.მ. ხოლო, შეთანხმებული, +4.5 და +51.0 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს №AR1450576 განაცხადით წარმოდგენილი, ამავე ნიშნულების შესწორებული გეგმით.

სამსახურმა 2016 წლის 07 ოქტომბრის №2863895 ბრძანებით შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა, წარმოდგენილი მაჩვენებლები და +4.5 და +51.0 ნიშნულების გეგმები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს.
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ოქტომბრის №2863895 ბრძანებაში, კერძოდ, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:14347.9, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:1195.88, კომერციული ფართობი (კვ.მ).:1623.81 და შეთანხმებული +4.5 და +51.0 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს №AR1450576 განაცხადით წარმოდგენილი, ამავე ნიშნულების შესწორებული გეგმებით. სამსახურის 2016 წლის 07 ოქტომბრის №2863895 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 07 ოქტომბრის №2863895 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.